პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
ქალაქი ბათუმი ____ ივლისი, 2025 წ.

ევროკავშირის Interreg NEXT BSB პროგრამის ფარგლებში პროექტისთვის „თანამშრომლობა ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებისა და წყლისადმი მდგრადი ქალაქებისთვის BSB-ში (BSB00961 – Blue&Green Resilience) გრანტის მიღებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ევროკავშირის Interreg NEXT BSB პროგრამის ფარგლებში, პროექტისთვის - თანამშრომლობა ,,ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებისა და წყლისადმი მდგრადი ქალაქებისთვის BSB-ში ლურჯი და მწვანე მდგრადობა“ (BSB00961 – Blue&Green Resilience - Cooperation for Nature - Based solutions and Water Resilient Cities in the BSB) - მოპოვებული გრანტის 218.839,32 ევროს (ორას თვრამეტი ათას რვაას ოცდაცხრამეტი ევრო და 32 ცენტი) მიღებასა და შესაბამისი შეთანხმებების გაფორმებაზე, ამ პროექტის 24,315.5 ევროს ოდენობით (ექვივალენტი ლარში) თანადაფინანსებასა და პროექტთან დაკავშირებული სხვა ხარჯების (მოსაკრებლები, გადასახადები და ა.შ.) დაფინანსებაზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა 30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ევროკავშირის Interreg NEXT BSB პროგრამის ფარგლებში პროექტისთვის ,,თანამშრომლობა ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებისა და წყლისადმი მდგრადი ქალაქებისთვის BSB-ში (BSB00961 – Blue&Green Resilience) გრანტის მიღებაზე თანხმობის გაცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტმა, ლულებურგასის მუნიციპალიტეტთან (თურქეთის რესპუბლიკა), ვარნას ტექნიკურ უნივერსიტეტთან, ანენის ნოის რაიონულ საბჭოსთან და სხვა თანააპლიკანტებთან ერთად 2024 წლის ივნისში ევროკავშირის Interreg NEXT Black Sea Basin პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში წარადგინა განაცხადი დაფინანსების მოსაპოვებლად, პროექტზე ,,თანამშრომლობა ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებისა და წყლისადმი მდგრადი ქალაქებისთვის BSB-ში ლურჯი და მწვანე მდგრადობა“ (BSB00961 – Blue&Green Resilience - Cooperation for Nature - Based solutions and Water Resilient Cities in the BSB). აღნიშნული პროექტი გამარჯვებულად გამოვლინდა მიმდინარე წლის ივნისში. შემდგომი ეტაპისთვის - საგრანტო შეთანხმების და საპარტნიორო შეთანხმების გაფორმება - საჭიროა გრანტის მიღებაზე შესაბამისი გადაწყვეტილებისა და სხვა დოკუმენტაციის წარდგენა.

მითითებული პროექტით გათვალისწინებულია აქტივობები Interreg NEXT BSB პროგრამის სპეციფიკური მიზნის - RSO2.4 ფარგლებში, რაც ეხება კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და კატასტროფების რისკის პრევენციის ხელშეწყობას და მდგრადობას ეკოსისტემაზე დაფუძნებული მიდგომების გათვალისწინებით. წყლის დაზოგვის უზრუნველსაყოფად და კლიმატის ცვლილების შედეგებთან ადაპტაციის მიზნით, ბათუმის მუნიციპალიტეტში ჩატარდება წყლის ეფექტიანობის ტექნიკური მიზანშეწონილობის ყოვლისმომცველი კვლევები შერჩეულ ტერიტორიაზე და მომზადდება ტექნიკური მოდერნიზაციის გეგმები, კერძოდ, **ბათუმის მუნიციპალიტეტი** მოამზადებს ტექნიკურ-ეკონომიკურ (მიზანშეწონილობის) კვლევას ბათუმის ბულვარისა და ცენტრალური პარკის სადრენაჟე სისტემის მოწყობისა და დაგროვილი წყლის ბათუმის მწვანე ზონებში მეორადი გამოყენების მიზნით. ბათუმის კომპონენტზე სულ გათვალისწინებულია 243.154,80 ევროს (ორას ორმოცდასამი ათას ას ორმოცდათოთხმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ევრო, საიდანაც 90% (218.839,32 ევრო) უნდა დაფინანსდეს საგრანტო ფონდით, ხოლო - 10% (24,315.5 ევრო) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის ძირითადი არსია ევროკავშირის Interreg NEXT Black Sea Basin პროგრამის ფარგლებში, პროექტისთვის ,,თანამშრომლობა ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებისა და წყლისადმი მდგრადი ქალაქებისთვის BSB-ში ლურჯი და მწვანე

მდგრადობა“ (BSB00961 – Blue&Green Resilience) გრანტის მიღებაზე თანხმობის გაცემა პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

აღნიშნული განკარგულებით ქ. ბათუმის მერს ეძლევა თანხმობა ევროკავშირის Interreg NEXT Black Sea Basin პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „თანამშრომლობა ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებისა და წყლისადმი მდგრადი ქალაქებისთვის BSB-ში ლურჯი და მწვანე მდგრადობა“ (BSB00961 – Blue&Green Resilience) ფარგლებში შესაბამის საგრანტო/საპარტნიორო შეთანხმებების ხელმოწერაზე, 218.839,32 ევროს (ორას თვრამეტი ათას რვაას ოცდაცხრამეტი ევრო და 32 ცენტი) გრანტის მიღებასა და 24,315.5 ევროს ოდენობის თანხის თანამონაწილეობაზე.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტი გავლენას მოახდენს მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, საგრანტო თანხების შემოსავლის სახით (218.839,32 ევრო), ამავდროულად პროექტი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ითვალისწინებს **24,315.5** ევროს ხარჯს საგრანტო პროექტის თანადაფინანსების სახით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ე) პროექტის ავტორი:
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის, მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - რუსუდან ჟოჟაძე.